



საქართველო
ლაგოდეხი, ქიზიკის ქ. № 25
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო ტელ: (+995354)221414

№ 25 QIZIKI STR.
LAGODEKHI
2700 GEORGIA
LAGODEKHI MUNICIPALITY
SAKREBULO TEL: (+995354)221414



KA000021933894920

№ 23-ი

03 / ივლისი / 2020 წ.

განკარგულება

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის შესაბამისად ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება - სოფ. ცოდნიკარში მდებარე, 27 045 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი (ს/კ 54.05.55.038), სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, 10 წლის ვადით, იჯარით გადასცეს მამუკა ლაბუჩიძეს (პ.ნ.25001027110), მერაბი ბარნაბიშვილს (პ.ნ. 25001035346) და ვიტალი მაჭარაშვილს (პ.ნ.25001025977) სოფელ ცოდნიკარის მოსახლეობის მიერ, საძოვრად გამოყენების პირობით. წლიურ საიჯარო ქირად განისაზღვროს 900.00 ლარი.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 3

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელემენტრონულად



გიორგი ლამბაშიძე